ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

მართალი სამართალი ,,ვეფხისტყაოსანში"

ირმა კრაველიძე
საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
ტელეფონი : 591052471570960519
E-mail: irmakravelidze@gmail.com

რეზიუმე

წარმოდგენილი ნაშრომი - ,,მართალი სამართალი ვეფხისტყაოსანში", მოიცავს კვლევასა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდიკას. აღსანიშნავია, რომ დასმული პრობლემის გადასაწყვეტად ნაშრომში გამოყენებულია ბიბლიური პარალელები, ისტორიული და მხატვრული წყაროები, მოწოდებულია საინტერესო ცნობები ძველ საქართველოში არსებული ,,მართალი სამართლის" შესახებ .

ნაშრომი მოცულობით ნაბეჭდ 4 გვერდს შეიცავს, რომელიც შედგება შესავლის, მეთოდიკის, დასკვნითი ნაწილის, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლისაგან.

ნაშრომში განხილული პრობლემატიკა და გადაჭრის გზები მრავალ პედაგოგს დაეხმარება ,,ვეფხისტყაოსნის"შესწავლისას.

საკვანძო სიტყვები: *ესთეტიკა, ლიტერატურა, აღზრდა*

შესავალი

ხშირად დავას იწვევს ტარიელის მიერ ხვარაზმშას მეფის შვილის მიპარვით მოკვლის ეპიზოდი. უნებლიედ ისმის კითხვა--როგორ შეიძლება შეუთავსდეს იდეალური გმირის ხასიათს ვაჟკაცისათვის შეუფერებელი საქციელი? ამ ადგილის ახსნა გარკვეული სირთულეების წინაშე აყენებს მასწავლებელს,აღსანიშნავია,რომ ვეფხისტყაოსნის" გმირები უნივერსალური ეთიკური პრინციპებით ხელმძღვანელობენ.კოლბერგის მორალური განვითარების თეორიის მიხედვით,პოსტკონვერციულ დონეზე მყოფი ადამიანების აზროვნება ეფუძნება აბსტრაქტულ და ზოგად პრინციპებს,რომლებიც არ არის დამოკიდებული საზოგადოების წესებსა და კანონებზე.ასეთი ადამიანები სწორ და არსწორ საქციელს შინაგან უნივერსალურ კანონებზე დაყრდნობით განსაზღვრავენ.კრიტიკოსი თამაზ ვასაძე წერს: ,,რუსთაველის გმირები თავიანთი რაციონალიზმის კარნახით ზოგჯერ შორდებიან რაინდულ მორალს.ასე ხდება მაშინ,როცა რაინდული წესით მოქმედება მიზანშეწონილი თუ სულაც დამღუპველია.რუსთაველის მიერ დანახულ რთულ,მრავალმხრივ ადამიანში რაინდულ კეთილშობილებასთან რაციონალურობა,პრაგმატულობა თანაარსებობს" ეს მკვლელობა საკამათოა ყოველთვის და ამითაც არის მხატვრული ლიტერატურა ღირებული,რომ აქ მუდამ არის სადავო სიღრმისეულად გასააზრებელი საკითხები,რომელზედაც ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს...

მეთოდი და პროცესის აღწერა--ვფიქრობ, ეპიზოდის სწორად გააზრების საშუალებას იძლევა ბიბლიური პარალელების დაძებნა. რა თქმა უნდა,არც

ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

ქრისტიანული მორალის მიხედვით იქნებოდა გამართლებული ტარიელის საქციელი,მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს აფორიზმს,რომლითაც ნესტანი ამართლებს საკუთარ ჩანაფიქრს.იგი მიჯნურს მოუწოდებს:

,,რა მოვიდეს,სიძე მოჰკალ მისთა სპათა აუწყვეტლად,

ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად" (548,3-4)

აფორიზმი, ,,ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად" არაერთი მკვლევარის დაკვირვების საგანი გამხდარა.პოემის სწავლებისას საჭიროა ამ ადგილს გაუკეთდეს სათანადო კომენტარი,აიხსნას აფორიზმში ჩადებული აზრი.

ერთი რამ ნათელია,რუსთაველი ერთგვარად ამართლებს,მხარს უჭერს მიჯნურთა გადაწყვეტილებას,რაც, როგორც აღინიშნა,მიუღებელი უნდა ყოფილიყო ქრისტიანული რელიგიის თვალსაზრისითაც,მაგრამ მართალი სამართალი, ,რაღაცით განსხვავდება ჩვეულებრივი სამართლის,ფორმალური კანონმდებლობისაგან..,,უდანაშაულო ხელმწიფის შვილის მალული მკვლელობა არ შეიძლება არც ერთი სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით სამართლიანად იქნას მიჩნეული".ამრიგად,შეიძლება დავასკვნათ,რომ მართალი სამართალი უფრო მეტია,ვიდრე კაცთა მიერ შემუშავებული და დადგენილი სამართალი.ეს, რა თქმა უნდა,გაუგებარი დარჩება მოსწავლეებისათვის თუ არ ავუხსნით ,რომ ეს ტერმინი,მართალი სამართალი ქართველი ხალხის ცნობიერებაში რუსთაველამდეა დამკვიდრებული. იგი ,,წარმოადგენს სამართლის განსაკუთრებულ სახეს---ღვთაებრივი სამართლის აღმნიშვნელ, ქართულ იურიდიულ ტერმინს". ვახტანგ VI მიერ შედგენილი სამართებლივი კრებულის შესავალში ვკითხულობთ: ,,ხოლო ესეცა სცანით,იგულეთ და იგულისმოდგინეთ და რომელიც გენებოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ,მით სჯიდეთ და სამართალსა მართალსა იქმოდეთ"ეს ფაქტი განხილული აქვს ე.ხინთიბიძეს თავის გამოკვლევაში და განმარტავს,რომ ,,აქ მართალი სამართალი ნიშნავს არა მოქმედი კანონით,არამედ სიტუაციის მიხედვით გამოტანილ სწორ სამართლებრივ განაჩენს",მართალი სამართალი ასევე გვხვდება სასულიერო მწერლობაშიც,კერძოდ გიორგი მერჩულეს ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში".გრიგოლი წერილს უგზავნის საიქიოში მყოფ წმინდა დებს,შეუნდონ ცოდვები ადარნასე კურაპალატის უკანონო ცოლს და სიკვდილის შემდეგ მიიღონ წმინდა დათა სასაფლაოზე.წერილში ვკითხულობთ: ,,აწ ვიხილეთ თქვენ-მიერი სამართალი საშჯელი,რომლისთვისცა მე,გლახაკი გრიგოლ და დედაი ფებრონიაი,მადლიერი ვართ თანაშეწევნასა თქვენსა".ეს იყო სამართალი,რომელიც არც ერთ სამართლებრივ კოდექსში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ასახული.ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი,რომ გრიგოლის წერილში სამართალი სასჯელი გაიგივებულია მართალი სამართლის ცნებასთან.

გამოთქმა მართალი სამართალი ,,ვეფხისტყაოსანში" სხვაგანაც გვხვდება.ნესტანის წერილში ვკითხულობთ:

,,რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა,კმა საჩივარად,

ცან,სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად." (1317,1-2)

ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

მართალი სამართალი ქართული ტრადიციაა,რომელსაც ვხვდებით საერო მწერლობაშიც,კერძოდ ,,დავითიანშიც",ასევე საერო ხელისუფალთა მიმოწერაში, ქართული სამართლის ძეგლებში, მაგრამ XVII-XVIII საუკუნეების შემდეგ იგი კარგავს თავის დანიშნულებას და თანდათან დავიწყებას ეძლევა,რადგან ამის საჭიროებაც აღარ არსებობს.ასე იკარგება მართალი სამართლის გამოყენების ტრადიცია. ,,ამგვარად,რუსთაველის გამოთქმა მართალი სამართალი ქრისტიანულ მწერლობაში და ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული ცნებაა და უშუალოდ სახარებიდან მკვიდრდება"

აფორიზმის--,,ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად"--მეორე ნაწილი ასევე ღვთაებრივ საწყისთან არის დაკავშირებული.ხმელი ხის განედლება მხოლოდ უფალს ხელეწიფება და ეს მოწყალების მაუწყებელია.სასურველია მოსწავლეებს გავაცნოთ კვერთხის განედლების ბიბლიური ეპიზოდი. ,,რიცხვთა" წიგნის სამ თავში (15,16,17) გადმოცემულია მოსესა და მისი ძმის ,აარონის თავზე მოვლენილი უფლის წყალობა.

ებრაელებმა განარისხეს ღმერთი. ღმერთმა განიზრახა მათი დასჯა.ხალხმა არ შეისმინა მოსეს თხოვნა,არ მიიღო ძმების მოსესა და აარონის რჩევა,პირიქით,თავის უბედურებაში ბრალი მათვე დასდო.განრისხებულმა ღმერთმა დასაჯა ებრაელები,ხოლო მოსეს მიმართა: ,,და სახელი აჰრონისი გამოწერე კუერთხსა მისსა...და იყოს კაცი,რომელი გამოვარჩიო მე, კუერთხი იგი მისი განედლდეს და მოვსპო დრტვინვაი ძეთა ისრაელისაითა ჩემგან რომელსა დრტვინვენ თქვენთვის" (რიცხვთა 17,3-4)

მოსემ ებრაელებს გამოართვა თორმეტი კვერთხი,მათ შორის იყო აარონის კვერთხიც.ძმებმა მეორე დღეს კარავში ,სადაც მოსემ კვერთხები შეიტანა ,სასწაული იხილეს. აარონის კვერთხი განედლებულიყო , ყვავილი და ნიგვზის ნაყოფი გამოეღო.

ამ ფაქტებისა და პარალელების მოძიებას თვითონვე დვავალებ მოსწავლეებს,შემდეგ კი ჩემივე მინი ლექციით, ახსნა-განმარტებითა და დისკუსიის გამართვით აუცილებლად თვითონვე გააკეთებენ დასკვნას, თუ რატომ ცდილობს ნესტანი უდანაშაულო ადამიანის მოკვლა გაამართლოს რამდენიმე არგუმენტით.უპირველესია ინდოეთის დაცვა,სამშობლოში უცხო კაცის გამეფება დაუშვებელია. ,,ესე ამბად არ ეგების,რომე სპარსნი გაგვიხასდენ".--აცხადებს ნესტანი და მიჯნურს აქტიური მოქმედებისკენ მოუწოდებს.რა თქმა უნდა, ტარიელს შეუძლია საკადრისი პასუხი გასცეს მტერს, არ მოერიდოს პირისპირ შებრძოლებას სასიძოსთან,ამოხოცოს მისი ამალა,მაგრამ ამით უთუოდ განარისხებს ფარსადანს--ინდოეთის ხელმწიფეს.ნესტანი შიშს გამოთქვამს:

,,თუ სასიძო არ მოუშვა,ვა თუ მეფე გაგიმწარდეს,
შენ და იგი წაიკიდნეთ,ინდოეთი გარდაქარდეს" (545,3-4)

გამოსავალი ერთია-ტარიელმა მიპარვით უნდა მოკლას სასიძო.ეს არის მართალი სამართალი,რომელსაც მხოლოდ უფალი სჯის,ამგვარი მოქმედებით ხე შეიქმნება ნედლი,ე.ი. უფალი წყალობით მოხედავს ნესტანსა და ტარიელს,მათ ოცნებას ფრთას შეასხამს,ასრულდება მიჯნურების ნატვრა:. ,,მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ,სჯობს

ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

ყოვლსა სიძე-სძლობასა",--ურჩევს ნესტანი მიჯნურს.ტარიელი პირნათლად ასრულებს სატრფოს დავალებას.

შედეგი--ასეთი მიდგომით აიხსნება მოხმობილი აფორიზმი ,,ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად". ყოველივე ამით კი მოსწავლეთათვის ნათელი გახდება,რომ ბიბლიური პარალელების დაძებნით შესაძლებლობა გვეძლევა,ჩავწვდეთ შოთა რუსთაველის ჩანაფიქრს,გავიაზროთ ავტორის დამოკიდებულება პოემის გმირებისადმი რაც არ უნდა საკამათო იყოს პერსონაჟების ცალკეული ქმედება,ერთი რამ ფაქტია: დიდ სიბრძნესა და გონიერებასთან ერთად ისინი აღჭურვილნი არიან იმ უნარ-ჩვევებით,რომლებიც სჭირდება ყველა ეპოქის,მათ შორის -თანამედროვე ადამიანს .ისინი არიან აქტიური ადამიანები,რომლებსაც შეუძლიათ ურთულეს სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისად მოქმედება.,ანუ უნარი,ყველა კონკრეტულ ვითარებაში ადამიანმა იპოვოს გამოსავალი და იპოვოს გზა ხსნისა.... და უფრო მეტიც,მათი მოქმედება,ზოგჯერ მიუღებელი კაცთა სამართლებრივი კანონებით,სრულიად დასაშვებია მართალი სამართლის მიხედვით. ამ შემთხვევაში მიჯნურთა მსაჯული შეიძლება იყოს მხოლოდ ღმერთი,რომელიც არა მარტო მართალი სამართლით სჯის,არამედ წყალობასაც მოუვლენს მათ---ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.აფორიზმის ორივე ნაწილი დაწერილია ბიბლიიდან წამოსული ტრადიციის გავლენით,რომელიც ,როგორც დავინახეთ,გავრცელებული ყოფილა ძველი საქართველოს სიტყვაკაზმულ მწერლობასა თუ საკანონმდებლო წიგნებში. ყოველივე ამით კი განუვითარდებათ კვლევა -ძიების,არგუმენტირებული მსჯელობისა და დამოუკიდებლობის უნარი

დასკვნა--ამრიგად,მე შევეცადე მეჩვენებინა,რომ კლასიკური ტექსტები ამოუწურავი წყაროა და მათი გამოყენება შეასძლებელია არა მარტო სულიერი ფასეულობების ჩამოსაყალიბებლად ,არამედ იმ უნარ-ჩვევენის განსავითარებლად,რომელიც მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანი";
2. ბიბლია;
3. გიორგი მერჩულეს ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება";
4. ე.ხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პროდლემები ვეფხისტყაოსანში,1975 წ.